შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 21 (3) № 232
წელიწადი მესამე

შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 21 (3) № 232
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

იტალიის ჯარი დახევას განაგრძობს. იზონცოს ხიდები დაწვეს.—ინგლისელებს ამ ჟამად 3 მილიონი ლაშქარი ჰყოლიათ.—დაიწყო ციმბირის რკინის გზების გაფიცვა.—გერმანელებს მურმანის რკინის გზის გადაჭრა განუზრახავთ.—ფინლიანდიისათვის გერმანელების წყალქვეშებს იარაღი მიაქვთ.—ლიტვა გერმანელთან ხელშეკრულობას სდებს.—ავსტრო-უნგრეთში და ოსმალეთში დიდი რეფორმები ხდება.—რესპუბლიკის საბჭოში მილიუკოვმა სიტყვა წარმოსთქვა საგარეო პოლიტიკის შესახებ.

წერილებიდან

მეთაური. ჭიათურის მამულების საქმე.
გივი გოლდენდ. „პატრონები“ და „მოქალაქენი“.
გრ. რობაქიძე. რუსეთის ტრაგედია.

ვ. ბარრიძე. როგორია ჩვენი თავისუფლება?
მ. საირხელი. კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი.
კორესპონდენცია ზემო იმერეთიდან.

სომეხთა ეროვნული საბჭო.
შემრიგებელ კამერათა დებულებანი.
დებულება დამფუძნებელ კრებისათვის.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ საარჩევნო სიების გამოსაქვეყნებლად უკანასკნელი ვადა ღვინობისთვის 20.

ღვინობისთვის 20-დან 27-მდე დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარი კომისია მიიღებს განცხადებებს სიებში დაშვებულ შეცდომების შესასწორებლად, ან შესავსებად.

ღვინობისთვის 28-დან 30-მდე კომისია საჩივრებს განიხილავს.

ღვინობისთვის 31-დან გიორგობისთვის 3-მდე მოქალაქეებს უფლება აქვთ კომისიის დადგენილებების წინააღმდეგ პროტესტი შეიტანონ და გაასაჩივრონ საოლქო სასამართლოში.

გიორგობისთვის 4 დან 6-მდე საოლქო სასამართლო საჩივრებს განიხილავს.

გიორგობისთვის 7-დან 10-მდე მოქალაქეებს შეუძლიათ ხელახლა გასინჯონ სიები.

2—804—2

დღეს, 21 ღვინობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილ მასწავლებლის

დიონოზ სპირიდონის ძე
ბერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ნადეჟდა დავითის ასული ბერიძისა—შვილებით და ნათესავებით.

1—845—1

ქართული კლუბი

ორშაბათს, ოქტომბრის 23-ს, ქართველ ქალთა ერთი წრის მეთაურობით გაიმართება

საღამო

ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოდ. ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ბონაპარტი და ჟოზეფინა

დრ. 4 მოქ. ბარასი. თარგ. ა. იმედაშვილისა.

გასართობები: ლოტო, პტიშვო, ბუფეტი, ყვავილები და სხვა.

2—857—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის
პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-მდე ტიუშკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე [illegible] მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყუფუნიასთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

ნაძალადევის კომიტეტი

აცხადებს, რომ ორშაბათს, საღამოს სწორედ 6 საათზე, დანიშნულია პარტიული

საერთო კრება

წაკითხულ იქნება მოხსენება დამფუძნებელ კრების შესახებ.

2—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მეათე და მეთორმეტე უბნის

წევრთა და თანამგრძნობთა კრება დანიშნულია კვირას, 22 ოქტომბერს, დილის 11 საათზე „ახალ საქართველოს“-ს საზამთრო ბინაზე, მიხეილის პროსპექტი, № 129, სახლი პარტიისა.

განსახილველი საგნები: 1) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის სამზადისი და საარჩევნო კანონები, 2) საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

4—801—3

ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა
საყურადღებოდ

კვირას, ღვინობისთვის 22-ს დილის 12 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში, დანიშნულია

საერთო კრება

წაკითხულ იქმნება რეფერატი, დამტკიცებულ-განხილული წესდება და ბაასი დამფუძნებელ კრების შესახებ.

ყველა ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლივ დაესწროს.

2—1 **გამგეობა.**

ქართული კლუბი

წარმოდგენა № 9.

ქართული დრამა

ორშაბათს, 23 ოქტომბერს, 1917 წ.

თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ნაპოლეონ და ჟოზეფინა

დრ. 4 მოქ. ბარასი, თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ბეჟანიშვილი ს., ქალარჯიშვილი მ., ქიქოძე ან., შოთაძე ან., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ქიქიძე ს., შალიკაშვილი ვ.

ნაპოლეონის როლს შეასრულებს ა. იმედაშვილი, ჟოზეფინას ტ. აბაშიძე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს. 3—806—2

ქაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიის
კრებული

პატივისცემით უცხადებს ამა ეკლესიის მრევლთ, რომ კვირას, ღვინობისთვის 22 წირვის შემდეგ, თვით ეკლესიაში, დანიშნულია არჩევანი

1) სამრევლო საბჭოს წევრთა,
2) სამრევლო მოლარისა (მნათისა) და
3) სამრევლოს წარმომადგენელთა ეპარქიის კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად,

და სთხოვს, მობრძანდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

ეს კრება განმეორებითია და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი მრევლიც უნდა გამოცხადდეს.

2—843—2

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—16

პირველ ნოემბრიდან გაიხსნება

ახალი ქართული სრულუფლებიანი
გიმნაზია

ორთავე სქესის ყმაწვილთათვის. ამ თვიდან სწავლა იწყება პირველ კლასში და მოსამზადებელ განყოფილებებში. თხოვნა მიიღება უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე 9 საათ. 2-მდე. ვერა, არაგვის ქუჩა, სახლი სიმონოვისა № 2.

დამფუძნებელნი სიმონ და თეკლე გრიაზნოვები.

1—846—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და [illegible] (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—38)

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღას ქუჩა, № 22.
25—823—10

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყოფთა, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
37—748—თ.

ექიმი
გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—9

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09
თ—719—33

თბილისი,
ღვინობისთვის 21.

ჭიათურის მამულების საქმე

ქართული საზოგადოება დიდი ხანია ადევნებს თვალყურს ჭიათურის შავი-ქვის მამულების ლიკვიდაციის საკითხს. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა, საგრძნობლად ეხება ქართულ ინტერესებს, როგორც ეროვნულს ისე ეკონომიურს—ამ შემთხვევაში მიუტევებელი იქნება მისი მივიწყება.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შარშან მაისში აცნობა ამიერ-კავკასიის კომიტეტს, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა გელზენკირხენის შავი-ქვის წარმოება გადაეცეს ხაზინას საკუთრებათ, რომ შეადგინოს სახელმწიფო აქციონერული საზოგადოება ხაზინის და კერძო მწარმოებელთა მონაწილეობით. ამიერ კავკასიის კომიტეტი დაეთანხმა სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ წარმოება გადაეცეს ხაზინას, მაგრამ ყოვლად მიუღებლად იცნო შექმნა აქციონერულ საზოგადოებისა კერძო მწარმოებელთაგან; კომიტეტმა აუცილებლად სცნო უზრუნველ ეყო მომავალი საერობო თვითმმართველობა რომ იმას შესძლებოდა შეთანხმება სამინისტროსთან ამ საკითხში.

ჩვენთვის, როგორც აღვინიშნავს, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღებელია ამ მამულების სახაზინოთ გამოცხადება, რადგან მაშინ, როგორც ეს წარმოება, ისე მასთან ერთად მთელი შავი ქვის სამრეწველო რაიონი სამუდამოდ ჩამოშორდებოდა ჩვენი კუთხის და ადგილობრივ თვითმართველობათა გავლენის სფეროს.

შესაძლებელია სამი გამოსავალი მდგომარეობიდან, რომ მამულების ლიკვიდაცია მოხდეს ისე რომ არ დაზარალდეს ადგილობრივი ინტერესები.

სალიკვიდაციო მამულები უნდა დარჩეს ან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელიც ყველაზე ახლოა საქმის წარმოებასთან და ოფიციალი მდგომარეობაც ისეთი აქვს, რომ შეუძლია კონტაქტში იყოს ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმესთან, ან ეს წარმოება უნდა გადაეცეს მომავალ საერობო თვითმართველობას, რომელსაც მალე უპირობენ შემოღებას საქართველოში.

მაგრამ თუ ჭიათურის მამულების ლიკვიდაციამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ არც არსებულ შავი ქვის საბჭოს და არც მომავალ ერობას არ დაცალდა ამ საქმის ჩაბარება, მაშინ ჩვენი ვალია ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ეს მამულები ისევ ადგილობრივ კერძო მრეწველთა სააქციო საზოგადოების ხელში გადავიდეს.

პატრონები და მოქალაქენი

(ოსმალეთის სომხეთის საკითხის გამო).

სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის ცნობილს მანიფესტში ევროპის დემოკრატიის მიმართ, სხვათა შორის, „ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობა“ წამოაყენა.

ამ ფორმულას, როგორც თბილისის პრესა გადმოგვცემს, გორის უელის დაშნაკელების ორგანო „აზატამარტ“, რომლის განმარტებით, სტოკჰოლმის კონფერენციას ოსმალეთის სომხეთის სრული სუვერენობის აღდგენა ჰქონდა სახეში.

ჩვენ გვაინტერესებს ამ განმარტებიდან მხოლოდ ერთი ადგილი:

„წამოყენებული ფორმულა სწყვეტს არა მარტო საკითხს სომხეთზე, არამედ უფრო მეტად საკითხს მისი სასომხო მცხოვრებთა შესახებ. არა მარტო სომხეთი, როგორც გეოგრაფიული ცნება, იღებს დამოუკიდებლობას, არამედ მცხოვრებნიც სომხეთისა, როგორც განცალკევებული ხალხი. ფორმულის ეს ნაწილი შესაძლოა ამგვარადაც გამოვსახოთ: „სომხეთი სომხებს“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხარეში არ შეეძლიათ ცხოვრება სხვა ეტნოგრაფიულს ელემენტებს; ეს ნიშნავს მას, რომ სომხეთი დასტურდება როგორც მემკვიდრეობა სომეხი ხალხის, როგორც მისი ძირეული სამშობლო, სადაც იგი სრულ პატრონად გამოდის, როგორც ბერძენი საბერძნეთში, სერბიელი სერბეთში, ბულგარი ბულგარეთში და სხვა, სადაც ამ ხალხთა გვერდით ცხოვრობენ სხვა ხალხოსნური ელემენტებიც, მაგრამ არა როგორც პატრონები, არამედ როგორც მოქალაქენი, როგორც კანონებით დაცული უმცირესობა და არა როგორც ამ მხარეთა ბედის გადამწყვეტნი“.

თუმცა „აზატამარტი“ სომხეთის ისტორიულს საზღვრებს მაინც და მაინც არ იცავს,—მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საოსმალო სომხეთის დღევანდელ ტერიტორიალ მდგომარეობას რჯულ მოსახლეობის მხრით, მაშინ საქმე იქნება სომხეთის როგორც სახელმწიფო სხეულის აღდგენა,—დაშნაკელთა ორგანოს საბოლოო მიზანი უეჭველად ისტორიულ საზღვრებით გამოცხადდება. ეს სხვათა შორის. უფრო საინტერესოა მეორე მხარე. „აზატამარტი“ სრულს ჭეშმარიტებას გამოსთქვამს პრინციპის მხრით, როცა იგი სომხეთის ხალხისა და სხვა ელემენტების ურთიერთობას ეხება აღდგენილ სომხეთში: პირველი—პატრონნი, მეორენი—მოქალაქენი მხოლოდ. უეჭველად საჭიროა, რომ სამართლიანი ფორმულა ჩვენი მეზობელი ერის მიერ გავრცელებული იყოს საქართველოზეც. საქართველოც უნდა იქნას აღდგენილი როგორც მთლიანი სახელმწიფო ერთეული: მას ამისათვის ტერიტორიალი სიმთელეც ხელს უწყობს. მხოლოდ იქ, სადაც საქართველოს ტერიტორია დასახლებულია არა მარტო ქართველი ერით, არამედ სხვა ხალხთა ელემენტებითაც, იქ ქართველი ერი უნდა იყოს პატრონი და დანარჩენნი კი მხოლოდ „მოქალაქენი“. უკანასკნელნი დაცულ იქმნებიან სათანადო კანონებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზემოხსენებული სამართლიანი ფორმულით სომეხი ერი იფიქრებს არა მარტო თავის-თავზე.

გიგი გოლეენდ.

რუსეთის ტრაგედია

ამ ჟამად მთელი რუსეთი საშინელს უცნაურობას წარმოადგენს. თუ ოდესმე მხოლოდ რჩეულთათვის იყო რუსეთი ჩრდილოეთის სფინქსი, დღეს ასეთი იგი მგონი ყველასათვისაა. რუსეთის ისტორიის ტრაგედია სწორედ ამ საშინელს უცნაურობაშია,—და ჯეროვანია სიტყვა იმა ტრაგედიის შესახებ. ტრაგედიას საერთოდ ორი მომენტი ახასიათებს: პირველი: ტრაგედიის გამცდელში უნდა იყოს ორი შინაძალა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე; მეორე: ერთი ამ ძალთაგანი გამცდელის გარემოს უნდა ეთანხმებოდეს თავის შინაარსით. ამრიგად განწყობილი ორი ძალა ჰქმნის გამცდელში იმთავითვე გარდუვალ ტრაგედიას. რუსეთიც სწორედ ამგვარ წინააღმდეგობით არის სავსე. საჭიროა ამ წინააღმდეგობის გადაშლა. ამ მიზნით ჯერ მოვიყვან ერთი მწერლის (ნ. ბერდიაევის) მიერ რუსეთის დახასიათებას.

წინააღმდეგობა პირველი. რუსეთი ყველაზე უფრო ანტიხელმწიფებითი ქვეყანაა. ვარიაგების მოწვევა რუსეთში სიმბოლიური მომენტია მთელის რუსეთის ისტორიისა. რუსეთის მწერალნი სახელმწიფოს მოწინააღმდეგე არიან. რუსეთმა მისცა ქვეყანას საუკეთესო თეორეტიკოსნი ანარქიზმისა: ბაკუნინი და კრაპოტკინი. ლეო ტოლსტოის რელიგიური მოძღვრება ანარქისტულია არსებითად. სლავოფილები და დოსტოევსკიც ბოლოს და ბოლოს ანარქიზმისაკენ იხრებიან. რუსეთის „ხალხოსნობა“ (ნაროდნიჩესტვო) სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მოვლენაა. რუსეთის ლიბერალები უფრო ჰუმანისტებია, ვიდრე სახელმწიფოს დამმკვიდრებელნი. რუსის ხალხს თითქო სახელმწიფოსაგან განთავისუფლება უფრო სურს, ვიდრე თავისუფალი სახელმწიფო. სახელმწიფო საქმეში რუსის ხალხი არ იჩენს ვაჟურს სიძლიერეს: იგი თვითონ ეძებს საქმროს, ქმარს, დამფლობელს, სახელმწიფო ძალა რუსეთში გარეგანი კანონია მისი ყოფისა: იგი შიგნით კი არ იბადებოდა, არამედ გარედან მოდიოდა. ფრიად დამახასიათებელია, რომ რუსეთის ისტორიამ არ იცის რაინდობა, სადაც პირველ ყოვლისა თავსა ჰყოფს ვაჟური დასაწყისი, რაინდობა ჰქმნის ვაჟური პიროვნების სიმტკიცეს. ასეთი სიმტკიცე რუსის ხალხს არ აქვს: მასში უფრო „რბილტანიანობა“ სჭარბობს; მის პროპილში არა სჩანს მკვეთრი კვეთილობა:—პლატონ კარატაევი ტოლსტოის მიერ „მრგვლად“ არის ნახატი.

ეს ერთი მხარე,—მაგრამ იმავ რუსეთში არის მეორე მხარეც, სრულიად მოწინააღმდეგე პირველისა. რუსეთი ყველაზე უფრო სახელმწიფოებითი და ბიუროკრატიული ქვეყანაა. რუსეთი დიადი იმპერიაა. ივანე კალიტადგან მოკიდებული „რუსის მიწა იკრიბებოდა“ და ამ შეკრებამ მიაღწია უზარმაზარ საზღვრებს. ამ სიდიადის შესანახავად იხარჯებოდა მთელი ენერგია ერისა. კლასები და წოდებანი სუსტად ვითარდებოდენ, და მათ არ უთამაშნიათ ისეთი როლი, როგორც ითამაშეს დასავლეთს ევროპაში. ბიუროკრატია კი ძლიერ ვითარდებოდა: იგი იჭედებოდა თათრობასთან ბრძოლაში, აღრევის ხანაში, უცხოელთა შემოსევისას. ბიუროკრატიის ძალა-უფლება რუსეთის ცხოვრებაში გერმანელთა შინაგანი შემოსევა იყო. გერმანეთი შემოვიდა რუსეთის სიცოცხლეში, რუსეთი შეცდა საქმროს არჩევანში…

წინააღმდეგობა მეორე. რუსეთი ყველაზე უფრო არა შოვინისტური ქვეყანაა. დასავლეთი ერები ნაციონალისტურად არიან განწყობილნი. რუსეთში ნაციონალიზმი რაღაც „გადმოღებულის“ შთაბეჭდილებას იწვევს: რუსეთის ხალხისათვის უცხოა აგრესიული ნაციონალიზმი. რუსეთის ინტელიგენცია როგორც უწმინდურს ისე უცქეროდა ყოველთვის ნაციონალიზმს. რუს-რადიკალების ზერელე კოსმოპოლიტურ თეორიებში რამოდენიმედ რუსეთის ერის ყოვლად-საკაცობრიო (ზესთანაციონალური) სული გამოსჭვივა. რუსეთის გენიოსი ლეო ტოლსტოი ცდილობს რელიგიური გარდაქმნით გადალახოს ყოველი ზღუდე ნაციის ხასიათისა. სლავოფილები ნაციონალისტები არ ყოფილან ამ სიტყვის ჩვეულის მნიშვნელობით: ისინი მხოლოდ ამაღლებდენ რუსის ხალხს მის „სოფლიობისათვის“. დოსტოევსკიმ პირდაპირ განაცხადა: რუსი ადამიანი ყოვლადი ადამიანია და რუსეთის სული მსოფლიო სული. კატკოვი კი, თეორეტიკოსი რუსეთის ნაციონალიზმისა, წმინდა წყლის „დასავლეთელი“ იყო: რუსის ხალხურ სულს იგი სრულებით არ ეცხადებოდა.

ასეთია ერთი თეზისი,—მაგრამ არის ერთი თეზისიც, რუსეთი ყველაზე უფრო ნაციონალისტური ქვეყანაა. იგი უარყოფს ევროპას როგორც სიბინძურეს და ჯოჯოხეთის ნაყოფს. იგი წამებლობს მხოლოდ თავის თავს. „რუსული თავმდაბლობა“ მეორე ბოლოში პირდაპირ ამპარტავნობაში გადადის: „წმიდა რუსეთი“. რუსეთი ცოდვილია,—მაგრამ ცოდვებშიაც იგი წმინდას უწოდებს თავის თავს და აცხადებს უკანასკნელს როგორც წმინდანების ქვეყანას, დოსტოევსკი, რომელიც მივიდა უზენაესს სიყვარულამდე ქრისტეს ფენომენით, იმავე დროს საშინელებას ჰქადაგებს: აძაგებს ებრაელებს და პოლონელებს, არ სცნობს დასავლეთისათვის ქრისტეს მიღების რელიგიურ უფლებას. რუსეთში მოხდა ნაციონალიზაცია ეკლესიისა: უკანასკნელს ჰგონია, რომ იგი მსოფლიო ეკლესიაა. ამ ეკლესიური ნაციონალიზმით გაჟღენთილია გამეფებული ეკლესიაც, სლავოფილების წადილებიც, და „სტაროობრიადცების“ მიდრეკილებაც. „დედა-მიწა“ რუსისათვის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია. რუსეთი თავის წარმოდგენაში ღვთის-მშობლად ქვეყნის: იგი ღმერთ-მოსავია. გენიალური გამომთქმელი რუსეთის გვარობითი სხეულის, მისი განოყიერებისა და გამრავლებისა—როზანოვი არის.

წინააღმდეგობა მესამე. რუსეთი უსაზღვრო სულის თავისუფლების ქვეყანაა. მან არ იცის დასავლეთის „ბურჟუაზობა“ და „მეშჩანობა“. დოსტოევსკიმ თავის ლეგენდით დიდ ინკვიზიტორზე ისეთი უსაზღვრო სულის თავისუფლება აცნობა სამყაროს, რომლის მსგავსი ჯერ არავის არც კი მოლანდებია. სლავოფილები რუსეთში სულის თავისუფლებას მეტრფიან: დასავლეთი მათთვის თავისებით არათავისუფალს წარმოადგენდა. რუსი ადამიანის ტიპი მოგზაურია, ყველაზე უფრო თავისუფალი არსება. იგი დადის მიწაზე, მაგრამ არ ჩაზრდილა მიწაში,—და რასაკვირველია, მასში არ არის მიწას-ახლოობა: იგი ჰაეროვანია უფრო. მრავალია მოგზაური რუსეთში: როგორც უბრალო ხალხში, ისე ინტელიგენციაშიაც. რასკოლნიკოვი, მიშკინი, სტავროგინი, ვერსილოვი, ანდრია და პიერ ბეზუხი—ყველა ესენი ნამდვილი მოგზაურებია. მოგზაურობა (სტრანნიჩესტვო) იყო ფილოსოფოსს სკოვოროდაში, ლერმონტოვში, დოსტოევსკსა და ტოლსტოიში, იგი არსებობს რუს რევოლუციონერებში და სექტანტობაში. რუსეთი მხარეა სულიერი ლოთობისა, მხარე ხლისტებისა და თავისდამწველების, სელივანოვისა და რასპუტინის, გრიშკა ოტრეპევისა და პუგაჩოვის. რუსის სულში მარად არის „ქალაქ კიტეჟის“ მარადი ძიება,—ძიება ახალი მეფობისა ქვეყნაზე.

ხოლო იმავ რუსეთში მეორე მხარეცაა. რუსეთი მხარეა საშინელი სერვილიზმისა და მორჩილების, მხარე მაგარი ყოფისა და მძიმე სხეულის. ვაჭრები, ჩარჩები, მოხელენი, გლეხები, სამღვდელონი, ინტელიგენცია—ყველა ესენი შიგან თავისუფალი არ არიან და ჩაზრდილნი არიან მატერიალურ ყოფაში. რუსეთი ისე შევიდა მატერიაში, რომ იქცა ინერტული, ზარმაცი, მძიმე. რუსეთში არ უნდათ მაღლა ასვლა, იქ ყველას სურვილია—იყოს „როგორც სხვები“. რუსეთში აქტივობა ცოტაა: ყველა იმას ეყრდნობა, თუ სხვა მისთვის რას გააკეთებს. რუსეთის ინტელიგენციის თანასწორობის იდეა უფრო მექანისტურია, ვინემ შიგან თავისუფალი. რუსეთი უპიროვნო კოლლექტივის ქვეყანაა.

ასეთია ბერდიაევის აზრით რუსეთი: უკანასკნელის ყოფა ანტინომისტურია. რით შეიძლება აიხსნას რუსეთის ასეთი უცნაურობა? ავტორი ამ კითხვის გადაჭრას ვაჟური და ქალური დასაწყისის ურთიერთობაში ეძებს. რუსეთი ქალურია არსებითად, ავტორის აზრით: იგი მუდამ ეძებს საქმროს. ვაჟური რუსეთი—ეს ან გერმანულია, ან ფრანგული, ან ბერძნული (ძველი). რუსეთის ცხოვრებას ჰფლობს ხან მარქსი, ხან შტეინერი, ხან კანტი, ხან კიდევ რომელიმე სხვა უცხო ვაჟი. აპოლლო, ღმერთი ვაჟური გაფორმებისა, ჯერ არ შესულა დიონისურ რუსეთში. თვითონ დიონისიზმი რუსეთისა ბარბაროსულია და არა ჰელლინური. ასეთია საშინელება რუსეთის. აქედან მხოლოდ ერთი გასავალია: რუსეთის წიაღში უეჭველად უნდა მოინახოს ვაჟური ელემენტი. მისი მონახვა თანამედროვე ომშია შესაძლო: რუსეთი ამ ომში გმირულად არის დაჭრილი და ეს ალბად ვაჟკაცობას წარმოშობს. რუსეთი წინასწარმეტყველური—აი მომავალი ხსნა რუსეთის..

ეს აზრები ბერდიაევმა გამოსთქვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევოლუციის ლანდიც არ სჩანდა. მით უფრო საგულისხმოა მათში გატარებული ხაზი. იქვე გარეშე, ავტორმა ბევრი რამ საინტერესო წარმოსთქვა,—მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი კონცეპცია მცდარი არის. აქ არ გამოვუდგები მის გარჩევას,—ეს არცაა ჩემი ახლა მიზანი,—ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: თანამედროვე მეცნიერებით ყოველს არსში ვაჟური დასაწყისიც არის და ქალურიც. თუ რომელი მომენტი სჭარბობს, მით განისაზღვრება უწყებული არსის ვაჟობა თუ ქალობა. რუსეთი ავტორის თქმით ქალურია არსებითად. ხოლო ამით ავტორი არ კმაყოფილდება: იგი გაიძახის: რუსეთი უნდა გახდეს ვაჟური. რა საფუძვლით, ან რა მოსაზრებით,—თუ კი რუსეთის საარსო პრინციპი იმთავითვე ქალურია?—დაეკითხებით მას. ამ შეკითხვისათვის ბერდიაევს პასუხი არ აქვს.

გარნა შესაძლოა ზემოგამოთქმული კონცეპცია სხვა მხრით (საკითხის სისწორით დაყენება) გამოგვადგეს, როცა რუსეთის ტრაგიულს უცნაურობას მივმართავთ ასახსნელად.

ამის შესახებ ხვალ.

გრ. რობაქიძე

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ღვინ. 19. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით მტერი წინასწარ შემზადებულ ასპარეზებისკენ დახევას განაგრძობს. უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც მტერი ამ დახევით შესძლებდეს ჯარის სხვა და სხვა ფრონტზე გადასხმას. ფრონტის ზოგიერთ ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ფრონტებზე—სროლაა.

ბალტიის ზღვა. უცვლელადაა.

შავი ზღვა. ჩვენმა წყალქვეშამ ოსმალთა გემი დააზიანა. მის დასალუპად გაიგზავნენ ჩვენი ნაღმოსნები „პილკი“ და „ბისტრი“. მათ უფროსობდა მე-2-ე რანგის კაპიტანი გრაფი კელლერი. ნავთსადგურ იმადეში აღმოაჩინეს მტრის ნაღმოსანი „გამიდაბად“-ის ტიპისა და ორი გემი. მტრის ნაღმოსანი ჩაძირეს. გემები დაწვეს. სანაპირო ბატარეა შეამუსრეს.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. ღვინ. 17. ოფიციალი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით ჩვენ ხელჩართული იერიში მივიტანეთ გერმანელების თხრილებზე და ტყვეებიც ჩავიგდეთ. პავილონ-პარნი-პილენტმოლის უბანში საარტილერიო ბრძოლაა. ეპრის რაიონში მტრის ძლიერმა რაზმმა იერიშების მიტანა სცადა, მაგრამ ამაოდ. მაასის მარჯვენა მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა. ბრძოლა დეშომისა და ბეზონვოს ტყის შუა უფრო მწვავდება. კელერის მთაზე მტრის სანგრები წავართვით. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ღვინობისთვის 17. კრუაზილის ჩრდილო-დასავლეთით ინგლისის მსროლელთა რაზმი გერმანელების სანგრებში შეიჭრა. დიქსმიუდის ჩრდილოეთით ბელგიელებმა ხელჩართულ ბრძოლით რამდენიმე ტყვე იგდეს ხელთ. რულერის რკინის გზის ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა.

მფრინავთა მოქმედება. მთელ დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროდრომებსა და ბანაკებს 100-ზე მეტი ყუმბარა ესროლეს. წუხელ გოპურდის ჰაეროდრომს, კურტეს კაზარმებს და რულერის რაიონის სადგურს უშენდნენ ყუმბარებს.

იტალიის ფრონტის გარღვევა

იტალიის ბანაკის ცნობა

რომი. ღვინობ. 17. ოფიციალი. გუშინ ჩვენი ჯარი ახალ ასპარეზებისკენ დახევას განაგრძობდა. ჩავშალეთ იზონცოს ყველა ხიდები. ჩვენი ცხენოსნები მტრის მოწინავეებს ხვდებიან.

დამარცხების შედეგები

„მირ. ვედ.“ იტალიის ფრონტის გარღვევის შესახებ ამბობს: „კადორნას გამარჯვება დიდხანს აკავებდა ავსტრო-გერმანელთა ძალებს იტალიის-ფრონტზე. ამ გამარჯვების გავრცელება ეხლა უფრო საჭიროა, ვიდრე სხვა როდისმე, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთ და სხვა ფრონტზე ყოველ წუთში უნდა ახალ ახალს სიურპრიზებს მოველოდეთ. თუ იტალიის ჯარები ეხლა იძულებული გახდებიან უმოქმედოთ შეჩერდნენ და რაოდენიმე ხანი ასე დაჰყონ. ამით მტერს საშუალება მიეცემა დივიზიების ახალი გადაჯგუფებისა, რათა ჩვენს ფრონტს დაუბრუნდნენ. უეჭველია ფრანგები და ინგლისელები რამეს იღონებენ და გულხელ-დაკრეფილი არ ისხდებიან, კადორნას კი ისღა დარჩენია, რომ ამის მოლოდინში საკუთარს ძალღონეს დაეყრდნოს და რაოდენადაც კი ძალუძს, მოახერხოს მტრის შეჩერება. თუ არა და ჩვენ დავკარგავთ იმ მოკავშირეს, რომელიც არა ნაკლებ მტრის 35—37 დივიზიას აკავებდა…

დანიის გემის ჩაძირვა

კოპენჰაგენი. ღვინ. 16. ჩაძირეს ბილბაოდან ინგლისისკენ მომავალი დანიის გემი „ლფიონგი“. იგი მადნით იყო დატვირთული. ზედ მყოფთაგან მხოლოდ სამი გადარჩა.

რეფორმები ავსტრიასა და ოსმალეთში

ლონდონი. ღვ. ნ. 18. თემთა პალატაში ვიკტონმა შეკითხვა შეიტანა შესახებ ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის შინაურ ცვლილებებზე. ბალფურმა აღნიშნა, რომ მართალია ავსტრია უნგრეთში ცვლილებები ხდება დემოკრატიულ მიმართულებისა, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალ განცხადებით გამოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ყაზახობა და ინგლისი

პეტროგრადი. ღვინობისთვის 17. დონის ყაზახობის წარმომადგენლებმა და ყაზახთა ჯარის ყრილობის წევრებმა ინახულეს ინგლისის ელჩი ბიუკენენი და მის სახით მოკავშირეთ მისალმნენ. საპასუხო სიტყვაში, ბიუკენენმა აღნიშნა, რომ ინგლისი დიდად აფასებს ყაზახობის ღირსებას და მათ ძლევა-მოსილებას. ბიუკენენმა იმედი გამოსთქვა, რომ გაზაფხულისთვის რუსის ჯარი გამორჩება და შესაძლებელი გახდება ომის ძლევა მოსილად დაგვირგვინება. ბიუკენენი არწმუნებდა, ნუ გჯერათ, რომ ინგლისი რუსეთის ხარჯზე მტერს სეპარატიულ ზავით შეეკრასო.

ქაღალდის კრიზისი

ვლადივოსტოკი. ღვინ. 17. შორეულ აღმოსავლეთში ქაღალდის კრიზისი ჩამოვარდა.

კერენსკი

პეტროგრადი. ღვინობისთვის 17. მინისტრი თავმჯდომარე უმაღლესი მთავარსარდალი კერენსკი ბანაკიდან პეტროგრადს დაბრუნდა.

კერენსკის წერილი პენლევესადმი

პარიზი. ღვინობისთვის 17. სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალ კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების პრეზიდიუმის წევრმა რუბინოვიჩმა პენლევეს კერენსკის წერილი გადასცა და რუსეთის საქმეებზე ელაპარაკა.

თავდებით განთავისუფლებულთა შეპყრობა

პეტროგრადი. ღვინობისთვის 17. საშინაო საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა—შეიპყრონ სატუსაღოდან ყველა ის თავდებით განთავისუფლებულები, ვინც აცხადებდნენ მზად ვართ სამშობლოს ვემსახუროთ, მაგრამ აქამდის ჯარში არ ჩაწერილან.

ფოშტა-ტელეგრაფის გაფიცვა

ტამბოვის საოლქო ყრილობის რეზოლუცია

ტამბოვი. ღვინ. 19. ფოშტა-ტელეგრაფის საოლქო ყრილობამ გაჰკიცხა პეტროგრადის და მოსკოვის ფოშტამტების წინადადება გაფიცვის შესახებ. ყრილობამ გაფიცვა კონტრ-რევოლუციურ გამოსვლად გამოაცხადა.

ანარქია

ღვინის საწყობის დარბევა.

ვორონეჟი. ღვინობისთვის 16 ღვინის ადგილობრივ სახაზინო საწყობს ჯარის კაცები 2 დღის განმავლობაში არბევდნენ. დატაცეს 1000 მეტი ღვინით სავსე ბოთლი. მათ გადაჰკრეს მილიციის შტაბისა, ყაზარმებისა და დეპუტატთა საბჭოს ტელეფონის მავთულები. დარბევა შესწყვიტა 300 შეიარაღებულმა ჯარის კაცმა.

მოწოდება ებრაელთა დასარბევად.

ოდესა. ღვინ. 17. დააპატიმრეს რამდენიმე პირი, რომელნიც ებრაელთა დასარბევად მოწოდებას ავრცელებდნენ.

დამფუძნებელ კრების სამზადისი

რუს ამომრჩეველთა ყრილობა

კიევი. ღვინობ. 17. შულგინის თავმჯდომარეობით შესდგა გუბერნიის რუს ამომრჩეველთა ყრილობა, რომელსაც 372 დელეგატი დაესწრო. ყრილობის მიერ მიღებულ ნაკაზში ნათქვამია: „ომი მოკავშირეებთან თანხმობით ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. თუ ამისათვის საჭირო გახდა მთელ სახელმწიფოში სამხედრო წესები უნდა იქმნეს შემოღებული. ჯარი მწყობრ და დისციპლინის დამორჩილებულ ძალად უნდა გადაიქცეს. უახლოეს საჭიროებას შეადგენს: მტკიცე სახელ-

ბოლშევიკების აჯანყების მოლოდინში

„ფლოტის ცენტრის“ რეზოლუცია

პეტროგრადი. ღვინობ. 17. ბოლშევიკების მოსალოდნელ გამოსვლის გამო „ფლოტის ცენტრის“ მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ასეთი გამოსვლა სამშობლოს ღალატია, რადგანაც რევოლუციონერ დემოკრატიის ორი ბანაკი ერთი ერთმანეთის შეებრძოლება, რის შედეგითაც კონტრ-რევოლუცია ისარგებლებსო.

აღმასრულებელ კომიტეტის გაფრთხილება

პეტროგრადი. ღვინ. 17. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშები გააფრთხილა, რომ ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის სახედრო ნაწილის ნება დაურთველად იარაღი არავის მიეცემა.

აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება

პეტროგრადი. ღვინ. 17. ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია: „ბნელი ძალები მხნედ მუშაობენ, რომ უახლოეს დღეებში უწესოება და დარბევა გამოიწვიონ, რათა რევოლუციონური მოძრაობა სისხლში წალეკონ. გამარჯვებული კონტრ-რევოლუცია გააუქმებს დეპუტატთა საბჭოებს და ჯარისკაცთა კომიტეტებს, დამფუძნებელ კრებას ჩაშლის, მიწების გლეხთა ხელში გადაცემას შესწყვეტს, გააქრობს მოკლე ხანში ზავის ჩამოგდების იმედს და ციხეებს მუშებითა და რევოლუციონერ ჯარისკაცებით გაავსებს. ბნელ ძალებს ხალხის ერთი ნაწილის უკმაყოფილების იმედი აქვს. ამიტომ ყოველივე გამოსვლა, თუნდაც რევოლუციონერ მიზნით, სრულიად უადგილო იქნება. აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მუშებს არ აჰყვნენ ბნელი ძალების მოწოდებას. მწიფდება მთავრობის შედგენა, სოციალისტ-ექსპერიმენტების შეწყვეტა, მამულების ძალით ჩამორთმევა, თუ ეს საჭირო გახდა, ისე უნდა მოხდეს, რომ 1861 წლის რეფორმის გაგრძელება იყოს.

საბჭოების უფლების გარშემო

პსკოვის საბჭოს უარი

პსკოვი. ღვინობისთვის 18 პსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო კომიტეტი წინააღმდეგნი არიან, რომ მთავრობა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავიდეს.

რუმინეთის ფრონტი ყრილობის შესახებ

ოდესა. ღვინობისთვის 17. რუმინეთის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტს იზმაილის, ნოვოგეორგიევსკის, ევპატორიის, გენიჩესკის, სილოვკას და ბენდერის დეპუტატთა საბჭოები და აგრეთვე საოლქო კომიტეტები დეპეშებით აცნობებენ დეპუტატთა საბჭოების ყრილობა უდროოდაა მოწვეულიო.

ეკონომიური ცხოვრება

სამუშაო დღეები მაღაროებში.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 16 დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მაღაროებში მომუშავეთ. სთხოვენ სამშობლოსა და თავისუფლების გულისათვის

პირად ინტერესების მსხვერპლად შეწირვას. მოწოდებაში აღნიშნულია თუ რა დიდი საფრთხე ელის სამშობლოს ქვა ნახშირის მუშავების შემცირებით. შემცირება კი კვირაში 3—4 დღის სამუშაო დღედ გამოცხადებითაა გამოწვეული.

მტვირთველების დღიური ხელფასი

პეტროგრადი. ღვინობისთვის 16. გზათა სამინისტროში მოდის პროტოკოლები ბარჟების გადასატვირთავად ცარიცინში შემდგარ კომისიიდან. კომისიაში შედიან გზების წარმომადგენლები ლაშქრისა და ფლოტის დელეგატები მოსკოვის და ცარიცინის დეპუტატთა საბჭოების წარმომადგენლები, პროტოკოლებიდან ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ მტვირთველებისათვის დღიურ ხელფასად 15—20 მანეთია დანიშნული და დღეში 8 საათს მუშაობენ—უარს აცხადებენ მუშაობაზე.

რესპუბლიკის საბჭო

ღვინობისთვის 18-ის სხდომა

პეტროგრადი. ღვინობისთვის 18. სამიწათმოქმედო კომიტეტების შესახებ დებულებანი, რაც მენშევიკ ინტერნაციონალისტ გიმერმა (სუხანოვმა) და ს. რ. გენდელმანმა წამოაყენა, ერთხმად იქმნა მიღებული. დროებითი საბჭო ერთხმად ადგენს მიჰმართოს მინისტრ-პრეზიდენტს კითხვით, ხომ არ მოისურვებს დროებითი მთავრობა სამიწათმოქმედო კომიტეტების შესახებ შემუშავებულ დებულებათა განხილვას?

გიმერის სიტყვა

გიმერი (სუხანოვი) მიუთითებს სამიწათმოქმედო კომიტეტების დებულებათა მნიშვნელობაზე, რაიც ფრიად საგულისხმიეროა ჩვენი მომენტისთვისაო. მისი მიზანია სამიწათმოქმედო ფონდი და მისი ხელშეუხებლობა როგორმე დამფუძნებელ კრებამდე მიყვანოს. ამ დებულებათაგან დამოკიდებულია მომავალი სასურსათო კრიზისი. სამიწათმოქმედო კომიტეტების რაციონალური მოწყობა არა თუ ჩვენს ქვეყანას უზრუნველყოფს პურით, არამედ იგი საშუალებას მოგვცემს მეთოდიურად ვებრძოლოთ ანარქიას სოფელში. ანარქიასთან ბრძოლა მხოლოდ ერთი რეპრესიებით შეუძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხობა დიდი ხანია მოელის ახალ კანონის გამოცემას მიწის შესახებ, მხოლოდ იმ იმედით, რომ ამით საშუალება ექნება ახალი წესწყობილება განამტკიცოს და უზრუნველ ჰყოს მიწის რეფორმის სისრულეში მოყვანა. ორატორს იმედი აქვს, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტის დებულებანი უნდა შეტანილი იქმნეს რესპუბლიკის საბჭოში, რათა იგი შეეკითხოს მთავრობას, ჰსურს თუ არა დებულებანი იგი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილ იქნეს! (ტაში მარცხნივ).

კალეგინის სიტყვა

გლეხთა დეპ. საბჭოს სახელით ლაპარაკობს კალეგინი. იგი აღნიშნავს, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტების დებულებანი ფრიად საგულისხმიეროა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც გლეხობა თავისით აწყობს ყოველისფერს და უწესოება შეაქვს ყოველ სფეროში. დღემდე დროებითი მთავრობა არ შეეხება ამ საკითხს, თუმცა ბევრჯერ წამოყენებულ იქმნა განსახილველად მის წინაშე სხვა და სხვა გვარი ტიპის დებულებანი, მაგრამ დროებითი მთავრობა მაშინ ჰხედავდა ჯერ კიდევ საკმაოდ დაუმუშავებელს მასალას. ამიტომაც იგი განსახილველად და შესამუშავებლად გადასცემდა ხოლმე საგანგებო კომისიებს. ორატორს იმედი აქვს, რომ რუსეთის რევოლუციის ძირითადს საკითხებში მთავრობა უსათუოდ შეაძლებინებს გადამწყვეტი სიტყვა სთქვას რესპუბლიკის საბჭომ, ვინაიდან დიდად საჭიროა, რომ კანონ-პროექტი შეკვეცილ სახით არ გამოვიდეს.

ესერთა სახელით **ხოროშკინი** აცხადებს, რომ სოც.-რევოლუციონერთა პროგრამის ქვაკუთხედი მიწის საკითხი იყო და ნაწილაც თუ გადასცდებიან მხოლოდ მის სრულს განხორციელებამდეო. პარტია მეტს მეტად დაინტერესებულია, რომ ესერთ მისცეს ფართო უფლება ამ საგნის შესახებ ვრცლად და დასაბუთებით გამოსთქვას თავისი აზრი.

კადეტთა ფრაქციის სახელით ლაპარაკობს **კაუფმანი.** იგი აცხადებს, რომ თუ დროებითი მთავრობა საგანგებოს ყურადღებით არ მოეპყრო მიწის საკითხს, არა იმიტომ, რომ საჭიროდ არ სთვლიდა, არამედ იმიტომ, რომ მეტად რთული რამაა იგი. ამასთანავე სამიწათმოქმედო კომიტეტების დებულებათა შესახებ ამბობს, იგი არა თუ აგრარულ რეფორმათა განახორციელებელი პირველი ნაბიჯი არაა, არამედ შეაძლებელია კიდეც სრულად შეაჩეროს იმ რეფორმების გატარება ცხოვრებაში, რომელთაც ამუშავებენ დღეს-დღეობით უმთავრესი სამიწათმოქმედო კომიტეტებით.

მენშევიკების სახელით **მასლოვი** ჰფიქრობს, რომ მიწის გადაცემა სამიწათმოქმედო კომიტეტების ხელში უნდა მოხდეს უმაღლეს კრების თანხმობითა და მისი დადგენილებითაო.

თავდაცვის საკითხი

რესპუბლიკის საბჭო გადადის თავდაცვის საკითხზე. ყაზახთა ჯგუფიდან გამოდის ანისიმოვი, რომელიც აცხადებს: მთავრობამ თავის წარმომადგენელთა პირით საკმაოდ მძიმე სურათი დაგვიხატეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ქვეყანას ღუპავენ, გარედანაც და შიგნიდანაც. მიუხედავად ამისა, დროებით მთავრობის წევრებმა არავითარი განსაზღვრული და მტკიცე ზომები არ წამოაყენეს, რათა შეგვეძლოს მოვსპოთ ჩვენს ქვეყნის ყოველ კუთხეში დაწყებული საზარელი ანარქია. ერთად ერთი იყო სასურსათო მინისტრი პროკოპოვიჩი, რომელმაც გულახდილად აღიარა, თუ რამის მოგვარება გვსურს, უსათუოდ უნდა მივმართოთ ისეთს ზომებს, რომელთაც იძულებითი ხასიათი ექნებათო. სამხედრო მინისტრის საპასუხოდ სთქვა ორატორმა: თქვენ მიერ წამოყენებული ზომები უფრო ზნეობრივი ხასიათისაა და არავითარ სასურველს ნაყოფს არ გამოიღებს, ვინაიდან მასსა, რაკი გრძნობს მთავრობის სუსტს ძალას, ყურს არ ათხოვებს მის ნოტაციებს, ჩამოშორდება მას და ვინ იცის, ბოლოს რა დამღუპველ გზას დაადგება. საბოლოოდ ორატორი მოითხოვს იძულების, სასტიკ ზომების მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციაც და სამშობლოც დაიღუპებაო (ტაში).

2 საათზე და 56 წუთზე კრება სწყდება.

ეროვნული საკითხი

პოლონეთის მანიფესტი

კოპენჰაგენი. ღვ ნ. 15. ვენის „კორესპონდენც ბიურო"-ს ვარშავიდან ატყობინებენ: ღვინობისთვის 14-ს ტაძარში ფიცის დადების შემდეგ პოლონეთის სარეგენტო საბჭომ მცხოვრებლებს მანიფესტით მიმართა. მანიფესტში ნათქვამია: „საბჭო ღვთის წყალობით გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მეფეთა თანხმობით თავს იდებს უმაღლეს სახელმწიფოებრივ მთავრობას პოლონეთის სახელმწიფოში და ფიცს სდებს, რომ ამ მთავრობას გამოიყენებს საერთო დამოუკიდებლობისათვის და სამშობლოს ბედნიერებისათვის. საბჭო ეცდება განახორციელოს პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმ აქტების თანახმად, რომლებიც ცენტრალ სახელმწიფოებმა გამოსცეს 1916 წელს ღვინობისთვის 23-ს და 1917 წ. თიბათვის 30-ს".

დასასრულ მანიფესტი იგონებს პოლონეთის სანაქებო წარსულს და მოუწოდებს ყველა პოლონელს შეთანხმებულ მუშაობისათვის, ამასთან აგონებს პოლონელთა შემოქმედებრივ ძალას.

სადღესასწაულო ნადიმი ვარშავაში

კოპენჰაგენი. ღვინ. 17. ვოლფის სააგენტო იუწყება, 14 ღვინობისთვეს ვარშავის ციხედარბაზში რეგენტობის შემოღების გამო გაიმართა საბჭოს სადღესასწაულო ნადიმი. გენერალ-გუბერნატორმა ბეზელერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ პოლონეთის სახელმწიფო წეს-წყობილების ფორმა თანდათანობით სახეს იღებს, რაც მკვეთრს საზღვრებს გაუსვამს დასავლეთ კულტურის აღმოსავლეთის კულტურისაგან გასამიჯნავადაო. რეგენტის საბჭომ უნდა ნათლად გამოარკვიოს, თუ როგორი სახის წესწყობილება უფრო შეეფერის პოლონეთს და მის პოლიტიკურს ინტერესებს, რომ ცენტრალ ევროპის სახელმწიფოთა კავშირში შევიდესო.

ლიტოვეთის სახელმწიფო და გერმანეთი

სტოკჰოლმი. ღვინობ. 18. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ლიტოველთა კონგრესის თავმჯდომარემ, სახელმწიფო საბჭოს წევრმა იჩასმა განაცხადა, რომ სტოკჰოლმის თათბირს მიზნად ამ საერთო თვალსაზრისის დამყარება ჰქონდა, რომლითაც ლიტოვეთის ერთა პოლიტიკურ მდგომარეობას უნდა შევხედოთ. დამოუკიდებლობის იდეა მუდამ ცოცხლობდა ლიტოველებში. გეოგრაფიულ პირობების გამო ამ ომმა დიდი ზიანი მიაყენა მას; პოლიტიკური პარტიები მის აღდგენას შესაძლებლად სცნობენ მხოლოდ სრულ დამოუკიდებლობით. სტოკჰოლმის ლიტოველმა კონფერენციამ დაადგინა დამფუძნებელ კრების მოწვევა ვილნოში, როდესაც მას გერმანელთა ჯარი განთავისუფლებს. ვილნოში ლიტოველები თავიანთ ნებას გამოაცხადებენ. იჩასს ეჭვი არ ებადება, რომ ლიტველთა ნება გერმანეთისკენ არ გადიხრება. რაც შეეხება გერმანეთთან ხელშეკრულობით დამოკიდებულებას—იჩასი აღნიშნავს, რომ კონფერენცია შესაძლებლად სცნობს გერმანეთთან ხელშეკრულობით დამოკიდებულებას, რამდენადაც ეს დამოკიდებულება ხელს არ შეუშლის სახელმწიფოს დამოუკიდებელ განვითარებისათვის.

უკანასკნელი დეპეშები

კოლონტაიმ განაცხადა, რომ ბოლშევიკების გამოსვლა მოხდება, რომ მთავრობას ჩამოაგდებენ და უფლება მოხდება დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავაო.

—

„ნოვ. ვრემ". სწერს: ბოლშევიკები წითელ გვარდიას მოუწოდებენ, ჯარისკაცებს და ბნელს მას-ს, მათი მეოხებით მოითხოვენ ზავს, ჰქადაგებენ ყაჩაღობას, სოფლების დაწვას და სხვა. წითელი გვარდიელები ხშირად ეცემიან გარშემო სახლებს, სჩხრეკენ, აპატიმრებენ, ახდენენ კონფისკაციას და სხვა. დროა მთავრობა გამოფხიზლდეს...

—

რესპუბლიკის საბჭოში დაცვის საკითხზე ყველა გადასახვედრელ ფორმულების ჩაშლამ მძიმე მდგომარეობა დასტოვა.

—

ღვინობისთვის 20-სათვის პეტროგრადში ყაზახთა ჯარის კავშირს განზრახული აქვს ლიტანიის გამართვა სუვოროვის სასაფლაოზე. ლიტანიას ბოლშევიკების გამოსვლასთან აკავშირებენ.

ქრონიკა

თბილისი

◆ **კრედიტი ადგილობრივ ენების სასწავლებლად.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ადგილობრივ ენების სასწავლებლად ამიერ კავკასიის საქალებო გიმნაზიებისათვის წლიურად გადადონ 185.000 მან. და სავაჟო გიმნაზიებისათვის 171.400 მან., ხოლო მიმდინარე წლის დამლევამდე საქალებო გიმნაზიებისათვის 62.000 მან. და სავაჟო გიმნაზიებისათვის 57.000 მან.

◆ **ძველი ტანთსაცმელები.** კავკასიის საოლქო საინტენდანტომ გადასწყვიტა, რომ ღარიბ მცხოვრებლებს მიჰყიდოს იაფად ჯარისკაცთა გამონაცვალი ტანთსაცმელები. ვისაც შეძენა სურს, სასურსათო კომიტეტებს უნდა მიმართოს.

◆ **მკვლელობა.** ღვინობისთვის 15 ი. ბექაურს გაუხრწნია არ. ბარდაველიძის 6 წლის ქალი. დამნაშავე შეუპყრიათ. გამომძიებელს რაღაც მოსაზრებით ციხიდან გაუშვია იგი. ბექაური ბარდაველიძესთან მისულა და დაჰმუქრებია, რადგან ჩემი თავი დააჭერინე, შენს დანარჩენ ქალებსაც გავაუპატიურებო. მაშინ ბარდაველიძეს აუღია დანა და რამდენიმე ადგილას სასიკვდილოდ დაუჭრია იგი.

◆ **საქ. ერ.-დემ. სტუდენტთა** მორიგი კრება გაიმართება დღეს, სალამოს სწორედ ექვსის ნახევარზე, პარტიის ბიუროში. მიხეილ ხერხეულიძე წაიკითხავს მოხსენებას: „მიწის საკითხი ადგილობრივ პარტიების პროგრამებით", რის შემდეგ გაიმართება საუბარი. რადგან კრების დაგვიანება ტეხნიკურად შეუძლებელია, საჭიროა სწორედ აღნიშნულ დროზე მოსვლა. დასწრება პარტიის სხვა წევრებსაც შეუძლიათ.

◆ **მთავრობის განკარგულებათა** კრებულში დაბეჭდილია ინსტრუქცია, რომლის ძალითაც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ენიჭება ამიერ კავკასიაში ყოველივე ის უფლებანი, რომელნიც ჰქონდა მეფის ნაცვალს

◆ **კულტურ ტეხნიკური** სასწავლებლის შენობაში არის დანიშნული იმავე სკოლის მოწაფეთა მშობელთა კრება—მშობელთა წრის დასაარსებლად. კრება მოხდება კვირას, 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

◆ **ბინის კომიტეტი.** კვირას, ღვინობისთვის 22, შუადღის 11 საათზე, სავაჭრო სკოლის შენობაში დანიშნულია ნ. ძალადეის სახლის პატრონთა საერთო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს ბინის კომიტეტის ახალი წევრები.

◆ **საქონლის მიღება.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს მოუვიდა 1 ვაგ. საპონი და 6 ვაგონი წვრილმანი საქონელი (საგალანტერიო), რომელსაც კავშირი განაწილებს თბილისის კოოპერატივთა შორის.

◆ **ფეხსაცმელების რეკვიზიცია.** ვინმე აკოფჯანოვს, რომელიც რკინეულობით ვაჭრობს თბილისში, 100 წყვილი ამერიკული ფეხსაცმელი და სხვა და სხვა ტყავეულობა მოუვიდა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა შეიტყო, რომ აკოფჯანოვს სპეკულიაციის მოხდენა აქვს განზრახული და ფეხსაცმელები რეკვიზიციის წესით ჩამოართვა.

◆ **სასულიერო სასწავლებელში** სწავლა შესწყდა. რუს ზედამხედველმა და მასწავლებლებმა არ შეისმინეს მოწაფეთა თხოვნა—ნაციონალიზაციის განხორციელებისა. 20 ღვინობისთვიდან სასულიერო სასწავლებლის შენობაში გაიხსნა რუსული სემინარია.

◆ **ალექსანდროპოლში** გაემგზავრნენ თბილისიდან საყურადღებო საქმეების გამო კავკასიის მხედრ-მთავარი ღენერალი პრჟევალსკი და სამხედრო კომისარი ექ. დონსკოი.

სოხუმი

◆ **ავანსის აღება.** შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის გამგეობამ სოხუმის ქალაქის თვითმართველობას მისცა ავანსად გზის საჭიროებისათვის ქალაქისაგან შეძენილ ადგილის ფასის ანგარიშში 100.000 მანეთი. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე დამტკიცოს ავანსი.

გუმბრი

◆ **ყველით დატვირთულ ვაგონის დაკარგვა.** ამ დღეებში სადგურ ალექსანდროპოლში ერთმა ვაჭარმა, ადგილობრივ სასურსათო გამგეობის ნებართვით ყველით დატვირთა ვაგონი, როსტოვში გასაგზავნად. სადგურის უფროსი დეპეშით შეეკითხებია ნებართვისთვის აღნიშნულ საოლქო სასურსათო კომიტეტს, მაგრამ ვიდრე პასუხი მოვიდოდა, ყველიანი ვაგონი გამქრალა.

სომეხთა ეროვნული საბჭო

სომეხთა ეროვნულ კონფერენციის პრეზიდიუმი და უხუცესთა საბჭო საბოლოოდ შეუთანხმდა აღმასრულებელ ორგანოსა და მის საბჭოს დაარსებაში. აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ეროვნული საბჭო ეწოდება, უკვე ამორჩეულია და შეუდგა კიდეც სათანადო მუშაობას. ეროვნულ საბჭოში შედიან: დაშნაკცაკანებისაგან ავ. აგარონიანი, ა. გიულხანდიანი, რ. ტერ-მინასიანი, ხ. ვერჩიკიანი, ნ. აგბალიანი და კ. გაზაზიანი; ესერებიდან ლ. ათაბეგიანი და ი. ტერ-ოჰანეზიანი; ს.-დემოკრატებიდან ა. ერზიკიანი და გ. ტერ-გაზაზიანი; სომეხთა სახალხო პარტიიდან ს. არუთინოვი და ა. აივაზიანი, ხოლო უპარტიოთაგან ს. მამიკონიანი, ტ. ბექზადიანი და ა. ზახარიანი. პირველ კრებაზე ეროვნულ საბჭომ, 16 ოქტ., თავმჯდომარედ აირჩია ავ. აგარონიანი, მის ამხანაგად ტ. ბექზადიანი, გ. ტერ-გაზაზიანი და ლ. ათაბეგიანი.

ეროვნულ საბჭოს გარდა არჩეულ იქმნება ეროვნული კრება, რომელშიაც შევა 35 წევრი. საბჭოს ევალება ცხოვრებაში გაატაროს უკვე დახურულ კონფერენციის დადგენილებანი.

შემრიგებელ კამერათა დებულება

1- მუშებისა და სამრეწველოების გამგეობათა შორის უთანხმოების თავიდან ასაცილებლად და უკვე მომხდარ უთანხმოების გადასაწყვეტად მოქმედებაში შედის შემდეგი დებულებანი.

2. შემრიგებელი დაწესებულებანი არსდება შემრიგებელ კამერების სახით (ამა თუ იმ დარგის სამრეწველოში და სამრეწველო რაიონებში) და აგრეთვე სამედიატორო სასამართლოს სახით.

3. მრეწველმა ან მუშამ წერილობით ან ზეპირად უნდა განუცხადონ შრომის კომისარს, რომ მას სურს უთანხმოება განხილვა შემრიგებელ კამერას მიანდოს. შრომის კომისარი დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს და წინადადებას აძლევს 48 საათის განმავლობაში აცნობოს მას თანხმობაა თუ არა მოწინააღმდეგის წინადადებისა, თუ უთანხმოების განხილვის 2 დღით გადადება შეუძლებელია, მაშინ შრომის კომისარს უფლება ეძლევა ეს ვადა შეამციროს. თანხმობის მიღებისათანავე შრომის კომისარმა ყოველი ღონე უნდა იღონოს შემრიგებელ კამერა რაც შეიძლება საჩქაროდ მოაწყოს. თუ მეორე მხარემ უარი განაცხადა, შრომის კომისარი წინადადების მიმცემს აცნობებს ამას და შემდეგ ადგილობრივ პრესაში აცხადებს, რომ ერთმა მხარემ მოინდომა უთანხმოება შემრიგებელ კამერას განეხილა, მაგრამ მეორე არ დათანხმდა ამას.

4. შრომის კომისარს უფლება აქვს თვითონ მისცეს წინადადება ორივე მხარეს, რომ უთანხმოება შემრიგებელმა კამერამ განიხილოს. თუ ერთმა ან ორივე მხარემ არ მიიღო ეს წინადადება, ამას შრომის კომისარი პრესაში აცხადებს.

5. გარდა საგანგებოდ ამა თუ იმ შემთხვევისათვის შედგენილ კამერისა, შრომის კომისარმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ განსაზღვრული ხნით შეადგინოს მუდმივი შემრიგებელი კამერა, თუ საამისო შუამდგომლობა აღძრა ორივე ან ერთერთმა მხარემ. თუ ეს წინადადება რომელიმე მხარემ არ მიიღო, ეს კომისარმა პრესაში უნდა გამოაცხადოს.

6. შემრიგებელ კამერაში რამდენი წარმომადგენელიც მრეწველთაგან იქნება, იმდენი წარმომადგენელი მუშებისაგან უნდა იყოს. თავმჯდომარეს კამერის წევრები თავის წრიდან ირჩევენ.

7. შემრიგებელ კამერის მოქმედების წესის ორივე მხარის მიერ შემუშავების დროს უნდა შეადგინონ კამერის მოწყობისა და მისი საქმეების წარმოების წესრიგი. კერძოდ საჭიროა გამოირკვეს: 1) როგორ და რამდენი წევრი აირჩეს, რამდენი ხნით არიან არჩეულნი წარმომადგენელნი და მათი მოადგილენი, 2) როგორ მოხდეს თავმჯდომარის არჩევნები, 3) კამერის თავმჯდომარისა და წევრების უფლებები, 4) საქმეების განხილვის წესი, 5) მოსამსახურეთა მოწვევისა და ხარჯების წესი, 6) კამერაში ყოფნის განმავლობაში სამრეწველოების მუშაობისაგან განთავისუფლება. კამერას შეუძლიან წინასწარ შემუშავებული წესრიგი შესცვალოს.

8) კამერას შეუძლიან განსახილველ საგნის წინასწარ განსახილველად ორივე მხრის წარმომადგენელთაგან შეადგინოს საგანგებო კომისია.

9. შემრიგებელ კამერის სხდომები საჯაროდ უნდა ხდებოდეს. კერძო შემთხვევაში, თუ ერთხმად დაადგინა კამერამ, შესაძლებელია საქმეები დახურულ სხდომებზე იქმნას განხილული. უეჭველად უნდა სდგებოდეს სხდომების ოქმი.

10. შემრიგებელ კამერებში მრეწველთა და მუშების წარმომადგენლებს თანასწორი ხმის უფლება აქვთ. საკითხები უბრალო ხმის უმეტესობით.

11. შეიძლება კამერის დადგენილებებში განმარტებულ იქნეს რამდენი ხნის განმავლობაში უნდა დარჩეს იგი ძალაში. თუ გარემოებანი შეიცვალა, კამერას უფლება აქვს ვადის გასვლამდე ხელმეორედ განიხილოს თავისი დადგენილება.

12. ორივე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს შემრიგებელ კამერის საშუალო დადგენილება. დანიშნულ ვადამდე ორივე მხარემ კამერას წერილობითვე უნდა აცნობოს, რომ მიიღო მის დადგენილობა.

13. თუ კამერაში ვერ შესდგა ხმის უმრავლესობა და დადგენილება ვერ გამოიტანეს, კამერას შეუძლიან წინადადება მისცეს მომჩივართ, რომ საქმე სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს, და ორივე მხრის თანხმობით უკანასკნელის მოწვევაში დახმარება თავს იდვას.

14. სამედიატორო სასამართლოში თანასწორად შედიან მუშებისა და მეწარმოებელთა წარმომადგენლები. თავმჯდომარე ერთხმად უნდა აირჩიონ გარეშე პირთაგან.

15. სამედიატორო სასამართლოს შეუძლია განმარტებისათვის მოიწვიოს ორივე მხარე, მოწმეები, მცოდნე პირები, და მოსთხოვოს საქმის გარემოების გამოსარკვევად მომჩივართ, წარმოადგინონ ყველა ცნობები და წერილობითი დოკუმენტები იმ პირობით, რომ სავაჭრო და სამრეწველო საიდუმლოებანი დაცული იყოს.

16. სამედიატორო სასამართლომ დადგენილება წევრებისა და თავმჯდომარის ხმის უმეტესობით უნდა გამოიტანოს და უნდა აუწყოს დაინტერესებულ მხარეებს არა უგვიანეს შემდეგი დღისა მიღებისთანავე ეს დადგენილებები სამრეწველოში უნდა გამოჰკიდონ, რომ მას გაეცნონ მუშები.

17. სამედიატორო სასამართლოს დადგენილების გამოტანის შემდეგ მთელი საქმის წარმოება შრომის კომისარს უნდა გადაეცეს.

18. კამერებს შეუძლიანთ თავისი ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ და აგრეთვე სამედიატორო სასამართლოების მოქმედების შესახებ ცნობები გადასცენ შრომის კომისარს, რომელიც ამ ცნობებს თავს უყრის. ვადა ამ ანგარიშების წარსადგენად თვით შრომის კომისარმა უნდა დანიშნოს.

19. საგანგებო შემრიგებელ დაწესებულებათა დაარსება ამ წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს როგორც მრეწველთა და მუშებისა, ისე სამრეწველოზე მოსამსახურეთა და მუშებს შორის.

ამ დებულებებზე ხელი აქვთ მოწერილი მინისტრთა თავმჯდომარის ამხანაგს ნ. ნეკრასოვს და შრომის მინისტრის ამხანაგს პ. კოლოკოლნიკოვს 1917 წლის მარიამობისთვის 5.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის

თავი 8.

(გაგრძელება *)

დამფუძნებელ კრების წევრთა გამოცვლის წესი

95. თუ დამფუძნებელ კრების რომელიმე წევრი გამოეწერება საკანდიდატო სიიდან, მის მაგივრად სიაში მის შემდეგ შეტანილი პირი რჩება. ასეთ მიყოლებითი წესით იცვლებიან დამფუძნებელ კრების წევრები.

იმ შემთხვევაში, თუ სიები შეერთდის და ერთ ერთ ამ შეერთებულ სიათაგანს კანდიდატები აკლია, მათ მაგივრად დამფუძნებელ კრების წევრებად გავლენ იმ სიის თავისუფალი კანდიდატები, რომელმაც ამ შეერთებულ სიებში მეტი ხმა მიიღო.

96. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ სიას, ანდა შეერთებულ სიებს არ ჰყავთ კანდიდატები სიებიდან გაწერილ დამფუძნებელ წევრთა სამაგიეროდ—მათი ადგილი თავისუფალი უნდა დარჩეს.

თავი 9

თავისუფლების დაცვა და არჩევნების სისწორე

97. დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ის, ვინც ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წარმდგენელ ჯგუფის საარჩევნო მოწოდებებს, თუ სიებს ჰგლეჯს, დახევს, დაჰფარავს ან და სახელდობ შესცვლის—დაისჯება ან ერთის თვის ციხით, ან და ას მანეთამდე ჯარიმით.

98. ის ვინც თავისუფლად შევარდება იმ სადგომში, რომელიც არჩევნების წინასწარ სააგიტაციოდ არის დანიშნული და ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წამოყენებულ ჯგუფს განკარგულების ქვეშ იმყოფება; ვინც ამა თუ იმ ორგანიზაციის არჩევნების წინასწარ სააგიტაციო ლიტერატურას მოსპობს თუ წაახდენს, ვინც დაემუქრება ან ძალით შეუფერხებს ამა თუ იმ ორგანიზაციის პირს, რომელიც არჩევნების წინასწარ აგიტაციას ეწევა—დაისჯება არა უმეტეს 6 თვის ციხით.

99. ის პირი, ვინც ცრუ ცნობებს გაავრცელებს რომელიმე კანდიდატის შესახებ იმ მიზნით, რომ თვით მას, ან და მის წამომყენებელ ორგანიზაციას ნდობა დაუკარგოს—დაისჯება ან სატუსაღოში ჩასმით, ან და დაპატიმრებით.

100. ის პირი, ვინც 44 მუხლით მოთხოვნილ განცხადებას შესცვლის ანდა ყალბ განცხადებას მისცემს იმ სიის შესახებ, რომ ესა თუ ის კანდიდატი აცხადებს თვის სურვილს, რომ დამფუძნებელ კრებისათვის მას ამა თუ იმ ოლქში ამა თუ იმ საკანდიდატო სიით ეყაროს კენჭი—დაისჯება გამასწორებელ ოთახში დატუსაღებით.

ასევე დაისჯება ის პირი, ვინც დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საოლქო კომისიაში წარადგენს კანდიდატის ყალბ განცხადებას, რომ ვითომც მას ჰსურდეს კენჭი ეყაროს

---

*) იხ. „საქართველო" № 219. ხსენებულ ნომერში ამ დებულებას შეცდომით აწერია რესპუბლიკის საბჭოს დებულება.

იმ სიით, რომელსაც ხსენებული პირი უცხადებს დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საოლქო კომისიას.

101. ის პირი, ვინც განგებ გაავრცელებს კანდიდატების არა მართალ სიებს ან და ყალბ საარჩევნო ბარათებს—დაისჯება სატუსაღოთი.

102. ის პირი, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წამომყენებელ ჯგუფს, რომ მან არჩევნების წინასწარი კრებები გამართოს, ვინც ხელს შეუშლის დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიებს—ძალადობით, დამუქრებით, ბოროტმოქმედებით თუ უწესოებით—დაისჯება სატუსაღოთი.

თუ ხსენებული საქციელი რამდენიმე შეიარაღებულ პირმა ჩაიდინა და მათ მოქმედების გამო ჩაიშალა ხსენებულ კრებების თუ კომისიების მოქმედება—დამნაშავენი გამასწორებელ ოთახებში ჩასმით დაისჯებიან.

103. ის სასულიერო პირი, ვინც წირვა-ლოცვის დროს ეკლესიაში თუ გარეთ თავის სიტყვებით, ახსნებით თუ კიდევ სხვა რაიმე საშუალებით შეეცდება რაიმე გავლენა იქონიოს დამფუძნებელ კრების არჩევნებზე—დაისჯება არა ნაკლებ ექვსი თვის სატუსაღოთი.

104. ის პირი, ვინც დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს თავის კანდიდატურას ხუთ საარჩევნო ოლქზე მეტ ადგილას წამოაყენებს, დაისჯება სამ თვემდე შეპყრობით ან და არა ათას მანეთზე მეტ ჯარიმით.

როგორია ჩვენი თავისუფლება

თავისუფლება! ყველას სწყუროდა, ყველა ჰნატრობდა, ყველა ელოდა იმ დროს, იმ საათს, როდესაც თვითეული ადამიანი თავისუფლად ილაპარაკებდა, თავისუფლად იგრძნობდა თავის თავს, თავისუფლად გადასდგამდა თავის ფეხს და მოურიდებლად, უშიშრად ამოიღებდა თავის ხმას: „თავისუფლება“! ოდესღაც, დიდებული სიტყვა! რამდენი სისხლი, რამდენი მსხვერპლი შეეწირა კაცობრიობის თავისუფლების მოსაპოვებლად!

ვინ იცის, იქნება კიდევ ბევრმა საუკუნომ გაიაროს, მაგრამ კაცობრიობამ უსისხლოდ მაინც კიდევ ვერ ააშენოს თავისუფლების ტაძარი! დღეს მოულოდნელად მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ ამგვარ თავისუფლებას ბევრი უარჰყოფს. ის, რაც ხალხს დღეს თავისუფლებად მოაქვს, ჩვენ თავისუფლებად არ მიგვაჩნია. ეს თავისუფლება კი არ არის, არამედ ადამიანის [illegible], თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ, [illegible], შეუზღუდველობა. საქმის და მიზნის ყალბად დასახვა და გაუგებრობა. თავისუფლება!! საწყალობელო, ყველას სულ სხვანაირად ესმის ეს მცნება! ცარცვა-გლეჯაში, [illegible], [illegible], ცილის-წამებაში, შურში, და ზიზღში, სიცრუეში და უზნეობა-[illegible]ში ხედავენ თავისუფლებას. რატომ მოხდა ასე? იმიტომ რომ ჩვენი ხალხი მოუმზადებელი იყო. არც სწავლა, არც შეგნება-განვითარება არ შესწევთ, რომ გაიგონ რა არის თავისუფლება. აუარებელი ცრუ პროპაგანდისტი, მოსყიდული ორატორები, ნაძირალი ხულიგნები, ცხოვრების ნაძირალნი დაძრწიან, გველებივით დასისინებენ და [illegible] უვიც ხალხის ჭკუას და გონებას. ხალხიც ბრმად ეთანხმება ამ ბნელ ძალებს, და როგორც მათ უნდათ ისე იძახიან „თავისუფლება!! ეს რაღად არის ასე? იმიტომ, რომ აღარ არის „კონტროლი“. ვისაც როგორ ჰსურს, ისე მოქმედობს, აღარ დაგიდევენ თავიანთ თვითნებობით თუ ხალხს ზიანს აყენებენ.

გათელილი და გმობილი, შეურაცხყოფილი, უსწავლელი და გაუნათლებელი, ყოველ სიმართლეს და ჭეშმარიტებას მოკლებული, შეზღუდული და შებორკილი ხალხს უცბად, მოულოდნელად ახსნეს სამარცხვინო უღელი და დიდი ხნის ტანჯული ხალხი ერთმანეთს ეცა, ერთმანეთში აირია. აღარც დიდი გაარჩიეს, აღარც პატარა, ყველას ერთი მაშტაბით დაუწყეს ზომვა, ყველამ ერთმანეთს მუშტი მოუღერა, კბილები დაუკრაჭუნეს და შეიქმნა ერთი საშინელი სულის შემხუთველი ატმოსფერა მთელ სახელმწიფოში. ყველა ძველ მთავრობას ლანძღავდა, აგინებდა, საშინლად სძაგდა და ეს გულისწყრომა მეტად სამართლიანი იყო. ეხლა რაღას ვხედავთ? ზერელედ ნუ შევხედავთ ჩვენ ყოფა-ცხოვრებას, მაღალ-მაღალი და ლიტონი სიტყვებით ნუ დავკმაყოფილდებით, თვალი გავახილოთ, ყური ცქვიტად დავიჭიროთ და ხალხის გულის ზრახვა ამოვიკითხოთ, თუ მაშინვე ამას არ ვგვამჩნევთ: რა მოგვიტანა ახალმა მთავრობამ? რა შეგვმატა „თავისუფლებამ“? არ გვინდა ისეთი თავისუფლება, სადაც ძალადობაა ისევ, სადაც მოუწესრიგებლობა და სიტლანქე ცხოვრებისა უფრო მკაფიოდ გამოაშკარავდა, სადაც ძმა დას ვერა სცნობს და დედა-შვილს? სადაც ისევ შიმშილი და წყურვილია, სადაც ისევ ხოცვა და ცარცვაა?! თქვენ გეტყვით ამ ხალხს: რატომ არ მოიცდით, განა სულ ასე იქნება?! მაგრამ ჩვენ ხომ დღევანდელ მომენტზე გვაქვს ლაპარაკი? ხომ იმას ვამბობთ—რაც არის ამ ჟამად? რასაც ჩვენი თვალი ხედავს და ჩვენი ყური ისმენს? მერე? მერე ვინ იცის უსაშინლესი თუ უკეთესი მერმისი მოგველის, ეს ღმერთმა უწყის. ეს მხოლოდ დრო გვაჩვენებს. წუთისოფლის ბრუნვა დაგვანახვებს ყველაფერს. მაგრამ ამჟამად თვითეული ჩვენი ნერვი საშინლად არის დაჭიმული. როდის მოვლენ ამას ბოლო, არავინ არ ვიცით. ძნელია ამის თქმა.

მხოლოდ ეს კია სათქმელი, რომ ერთად ერთი „გზა ხსნისა“ ისევ თვით ხალხის ძალაში და თვით გამორკვევაში უნდა ვეძიოთ. ხალხი, ფართო მასა, დემოსი თუ იხსნის ისევ მთელ სახელმწიფოს საშინელ განსაცდელისგან. იხსნის მაშინ, როდესაც იგი შეიგნებს თავის მინიჭებულ თავისუფლებას. როდესაც იგი თავისი გონებით წავა წინ და ბრმასავით არავის არ მიენდობა, როდესაც თავის საქმის აწონ-დაწონვანი თვითონვე იქნება, და ყოვლის უპირველეს იმდენი შეგნება ექნება, რომ ნათლად გაარჩიოს ვინ არის მისი მოყვარე და ვინ არის მისი მტერი! თუ ამას ეხლავე ყურადღებას არ მიაქცევს ხალხი, მაშინ ისე ამოთხრიან ბნელი ძალები მისივე ხელით მისვე საფლავებს, რომ თვითონ ვერ გაიგოს ვისათვის იქნება ამოთხრილი ეს საფლავები? მაშინ რაღა დარჩება ხალხს? გამზადებულ საფლავებში—ცოცხლები დამარხონ!..

იცოდნენ ეს კარგად და ძრწოდნენ თავიანთ უვიცობის წინაშე! გამოფხიზლება, მეტი ენერგია, ერთი-მეორეს ხელის დახმარება წინ სვლა და არა უკან გაქცევა!..

აი გზა ხსნისა ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ!

ვ. გარრიკი.

ტფილისის კულტურ. ტექნიკური სასწავლებელი

როგორც გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, ამ ჟამად ტფილისის კულტურ ტექნიკურ სასწავლებელში მოწაფეთა გაფიცვა სწარმოებს. ეს გარემოება თავის თავად ფართო საზოგადოების ყურადღებას იქცევს...

კულტურ ტექნიკური სასწავლებელი იმ სასწავლებელთა რიცხვს, რომელთაზედაც პრესაში კრიტიკა არ ისმის... ძველი რეჟიმის დროს, როდესაც ყველაფერი შავ ზეწარში იყო გახვეული, კიდევ შეიძლებოდა ყოველივე აზრის მიფუჩეჩება, მაგრამ დღეს, როდესაც თვით საზოგადოებათა ინტერესების დაცვა მოითხოვს სიმართლის აღიარებას, გაჩუმება დანაშაულად მიმაჩნია...

ეს სასწავლებელი დაიბადა იმ შავ დროს, როდესაც ომის ქარიშხალი ჩვენ პაწია სამშობლოს კალიებს [illegible]... ოფიციალურად აღიარებული მიზანი ამ სასწავლებლისა მეტისმეტად სიმპატიური და ყურადსაღები იყო... ჩვენ გვსურს პაწია, მიწად-მოქმედ ქვეყანას ნამდვილი სოფლის [illegible] შევსძინოთ. ჩვენ გვსურს ვებრძოლოთ „ჩინოვნიკობას“ ჩვენში და ნიადაგი მოუმზადოთ აგრონომიის გავრცელებას ჩვენში... ჩვენ გვსურს თავი დავახწიოთ კლასიკურ აღზრდას და სკოლაში რეალიზმი შევიტანოთ... აი ყველა ის უახლოესი მიზნები, რაც ამ ახლად დაარსებულ სასწავლებელს უნდა გაეტარებინა ცხოვრებაში...

ვინც ოდნავად მაინც იცნობს სწავლა აღზრდის ისტორიას ჩვენში, ის დამეთანხმება რომ ეს სასწავლებელი, თუ კი ყველა დასახულ მიზნებს შეასრულებდა, მართლა რომ თითით საჩვენებელი გახდებოდა ჩვენში... ამიტომ გასაკვირალი არ არის, თუ რომ ამ სასწავლებელმა მრავალი მოწაფეობა შეიძინა... საერთო რიცხვი მოსწავლეთა წელს 600-დე უდრიდა.

თავდაპირველად ეს სასწავლებელი სახელმწიფოებრივ ნიადაგზე იდგა... შიგ გამეფებული იყო რუსული ატმოსფერა, რუსული კულტურა, რუსული სული... მაგრამ ალბად ამავე გარემოების ბრალი იყო, რომ ეს სასწავლებელი თავის კედლებთა შორის ყველა ერის შვილებს ათავსებდა.

აქ თქვენ ნახავდით როგორც ქართველს, ისე რუსს, ისე სომეხს, ბერძენს, თურქს, აფხაზს, ლეკს, სპარსელს, ებრაელს და კიდევ სხვა მრავალი ერის შვილებს. ამათ შორის კი სიმრავლე ქართველთა მხარეზე იყო. შარშან, სასწავლებელში ქართველი მოსწავლე რიცხვი 70 პროცენტს აღემატებოდა. სხვა დანარჩენ ეროვნებათა მოსწავლეთა საერთო რიცხვი კი ძლივს აღწევდა 30. აქედან უკვე აშკარაა, თუ რომელ ეროვნებათა ინტერესებს უნდა დათმობოდა პირველი ადგილი... თუ საით უნდა ყოფილიყო გადახრილი სიმართლის სასწორი.. მასწავლებელთა კორპორაციაზედაც დაახლოვებით ეგევე ითქმის. მასწავლებლებად უმთავრესად ქართველები იყვნენ, მაგრამ ეს გარემოება [illegible] არ უშლიდა ხელს იმ გარემოებას, რომ ქართული ეროვნული საქმე „საკაბინეტო“ ყუთებში დაეპატიმრებინათ და ვითომც „ინტერნაციონალ“ მოსაზრებით ეხელმძღვანელათ... უკეთ რომ ვთქვათ ეს ხელმძღვანელობა ინტერნაციონალური კი არ იყო, არამედ სახელმწიფოებრივი... იმ დროს როდესაც ქართულ წრეების დაარსებას ყოველივე ძალღონით ებრძოდნენ, რუსულ წრეების დაარსებას დიდი სიამოვნებით ხვდებოდნენ და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ.

არც სამოსწავლო მხარე იყო კარგად დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელი სპეციალია, რომ სასწავლებლის დანიშნულება შეადგენს აღეზარდოს მშრომელ ქვეყანას მიწადმოქმედნი, აგრონომები, მიწათ-მზომელნი, ჰიდრო-ტექნიკები, ამ სასწავლებელში სპეციალ მხარეს სრულებით არავითარი ყურადღება არ ქონებია მიქცეული... მთელი წლის განმავლობაში ამ სასწავლებელში უწესოება მეფობდა... არც ფიზიკური კაბინეტი, არც სატექნიკო და სამეურნეო ინსტრუმენტები სასწავლებელს არ მოეპოებოდა... როდესაც ამაზე მოწაფეები ხმას აღიმაღლებდნენ, მათ იმით უპასუხებდნენ, რომ „ყველაფერი ომის ბრალია“ო... სასწავლებელი რაღაცა შემოსავლიან ადგილად იყო გადაქცეული... ამ მდგომარეობით მოაწია ამ სასწავლებელმა დღევანდლამდე... თავისუფლობამ მოწაფეებს მისცა იმის უფლება, რაც აუცილებელია სკოლის დღეგრძელობისთვის.

ამ სასწავლებლის გაეროვნება... აი მთავარი და უცილებელი მხარე, რაც აუცილებლივ სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი... აღზრდის სიმახინჯემ ისედაც ბევრი ჩვენგანი დაამახინჯა და თუ მართლა ამ სასწავლებლის უმაღლესი მიზანია გადენოს ბოლოდან ხავსიანი კლასიკური აღზრდა და ფესვები გაუღრმავოს სასწავლებლის რეალიზაციას, მაშინ სასწავლებლის გაეროვნება აუცილებელი ხდება.

სკოლის ადმინისტრაციამ ამ გარემოებაზე ყურადღება არ ჩამოიგდო, ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე პილატესებურად ხელები დაიბანა და უსირცხვილოდ განაცხადა, რომ სასწავლებლის გაეროვნება შეუძლებელია. ჩვენ ყოველ ღონეს ვღებულობთ, რომ სასწავლებელი ინტერნაციონალ დაწესებულებად ვაქციოთ... ჩვენ გვესმის ინტერნაციონალი, მაგრამ ინტერნაციონალი თავისუფლებაზე აშენებული... ისეთ ინტერნაციონალს, სადაც უმრავლესობა უმცირესობას ემორჩილება, ჩვენ ვებრძვით... ეს ინტერნაციონალი კი არ არის არამედ სახელმწიფოებრივია და დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ სკოლა პოლიტიკისაგან შორს უნდა იდგეს. მეორე ისიც მხედველობაში მისაღებია, რომ ამ სასწავლებელში ამ ჟამად კადეტთა მიმდინარეობა სჭარბობს და კადეტთა ინტერნაციონალობაში ეჭვი მეპარება.

იმ პირობათა სიაში, რომელნიც მოწაფეებმა სასწავლებლის ადმინისტრაციას წარუდგინეს, სხვათა შორის აღიარებული იყო, რომ უნდა დაარსდეს მოსწავლეთა ზედამხედველობა სასწავლებლის სამეურნეო და სატექნიკოსო განყოფილებაზე... ეს აუცილებელია, თუ მართლა „ყველაფერი ომის ბრალია“ და შეუძლებელია სათანადო ინსტრუმენტების შეძენა, მაშინ ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეთა ზედამხედველობა და [illegible] მოსწავლეთ დაამშვიდებს. მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, რატომ გაურბის სასწავლებლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა ზედამხედველობას. ეს გარემოება ზედ მეტ ეჭვებს ბადებს და ერთხელ კიდევ არწმუნებს მოსწავლეთ, რომ მათი მოთხოვნილება კანონიერია, და რომ აუცილებელიც.

სასწავლებლის რეორგანიზაცია... სათანადო სამეურნეო სატექნიკო იარაღების შეძენა, მოსწავლეთა ზედამხედველობის დაწესება და სასწავლებლის გაეროვნება, აი ის აუცილებელი საფუძველი რომელზედაც სასწავლებლის ადმინისტრაციამ უნდა გაიაროს... ეს მინიმუმია დღევანდელი მომენტის...

თუ ეს პროგრამა არ იქნება ცხოვრებაში გატარებული, მაშინ ამ სასწავლებელს კრახი ელის...

ან ერთი ან მეორე...

ცხოვრების დამახინჯებას აწი ვეღარ შევურიგდებით.

მ. ხარხნელი.

კორესპონდენცია

ზემო იმერეთიდან

ქალაქი ჭიათურა. ისტორიული დღე იყო 13 ამა თვეს ქ. ჭიათურაში: როგორც იქნა თავი მოიყარეს საარჩევნოდ ადგილობრივ თეატრის შენობაში ჩვენმა ქალაქის ხმოსნებმა. შემდეგი ქალაქის საჭირბოროტო საკითხები ჰქონდათ განსახილველი: პრეზიდიუმის არჩევა, რომელიც ქალაქის გამგეობის მაგიერობას გასწევს, რადგან გამგეობის არჩევა გადადებული აღმოჩნდა განუზომელ დრომდის; რესურსის საქმე და დამოკიდებულება მე-16-ტე შავი ქვის მრეწველთა ყრილობასთან, რომლის კრებაც 14—15 მოხდება ქ. ჭიათურაში.

როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, ჭიათურის ქალაქის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ოთხი ფრაქციის წარმომადგენელნი: 14 სოციალ დემოკრატი და დანარჩენ სამ ფრაქციიდან კი ორ-ორი. ესეც საკმარისი იყო იმის გასაგებად, თუ რა ცალმხრივობა იქნებოდა ყოველ საქმის განხილვაში, ან უპირატესობა ვის ექნებოდა.

პრეზიდიუმი არჩეული იქნა. ამან ასეთ ვითარებით, მხოლოდ მეორე ამხანაგი თავმჯდომარე ბ. ჯაფარიძისა ესერი პ. აბესაძე ქალაქის ნაფიცთებმა შემატა პრეზიდიუმს—შემდეგ ნაირად: ესდეკმა გ. ვაშაძემ განაცხადა „სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით წარმოვადგენ თავმჯდომარეთ სიმონ ჯაფარიძეს მის პირველ ამხანაგათ ზ. გურულს, მდივნად, ევ. თოდუას და მეორე თავმჯდომარის ამხანაგად დასახელებას ჩვენი ფრაქცია ამავე ფრაქციის მონათესავე ესერთა ფრაქციას აძლევს ნებას დაასახელოს“. ნათქვამი სისრულეში იქმნა მოყვანილი კიდეც—წინდაწინ შემუშავებული გეგმა პრეზიდიუმის არჩევისა ყველასათვის გაუგებარი გამოდგა. გაუგებარი გამოდგა ასე უეცრად კრების მოწვევა, რაც უკვე სამართლიანად აღნიშნეს ბ. ჭანიაშვილმა და ბ. პაპავამ, მათ განაცხადეს რა უკმაყოფილება—რომ მათ ორი საათით ადრე აცნობეს კრების მოწვევა—ნაციონალ დემოკრატიულ და ფედერალისტების ფრაქციათა მხრით წინადადება შეიტანეს, მეორედ აღარ იქნეს ესეთი შეცდომები დაშვებული, თუმცა ამ წინადადების მიზეზები ესდეკმა ზ. გურულმა სიეზდის მოწვევაში გამონახა და მის წინ-მოსწინ გამოსვლას, მაგრამ მიზეზები საპატიონი არ აღმოჩნდა—და იგი მაინც უპასუხოთ დარჩა.

თავმჯდომარე ხმოსანთა კრებას, ნდობის გამოცხადებისა და თავმჯდომარედ არჩევისათვის, მადლობა, გამოთქვა სურვილი უსაყვედუროთ სამსახურის განუზომელ დრომდის, აღუთქვა ქალაქის საჭიროებისათვის არ დაიშუროს ფიზიკურ ძალასაც კი თუ მას ადგილი ექნება.

დეკლარაცია წაიკითხა ორმა ხმოსანმა ცოტა შეცვლილი სახით ერთმა მათგანმა მკაფიოდ გამოჰხატა ქალაქის საჭიროებანი, აღნიშნა თუ როგორ უნდა იქცეს ქალაქად არარაობისგან ჭიათურა, თუ როგორ უნდა მოეწყოს იგი სანიტარულ სფეროებში, სწავლა განათლების სფეროში, როგორი ტიპით უნდა სცემდეს ქალაქის გული და სხვა,—ხოლო მეორე დეკლარაცია კი საკუთრად იქნა წაკითხული. მორიგი საკითხი პრეზიდიუმის უჯამაგიროდ სამსახურისა ერთ წლამდის გადაწყდა. გადაწყვეტილი აღმოჩნდა გამგეობის არჩევის გადადება, თუმცა ამ საგანზედ ნ. დ. პაპავამ და ესერმა ჭანიშვილმა საპატიო სიტყვები სთქვეს, რომ ქალაქი უფრო აღიჭურვება ნდობით, თუ საბჭოს დადგენილებები მოითხოვს აღმასრულებელ ძალას, გამგეობა საჭიროა ახლავეო მაგრამ იგი 16 ხმით გადაწყდა სამის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა.—ვამბობთ რომ ეს კრება დამსწრეთა გასართობი იყო, ანდა ქალაქის საჭიროებაზედ კი არ უნდოდა სჯა-ბაასი, არამედ პარტიული ძლიერება— გაღრმავებით,—ეს აშკარა იყო, რაც უკვე გამოიხატა ნ. დ.—ბის და ფედერალისტთა ხმოსანთა თქმულის წინააღმდეგ გალაშქრებაში—მათ წინადადებებს პასუხი გასცეს არამც თუ ქალაქის ხმოსნებმა ანთაძემ, მოდებაძემ და გურულმა, არამედ როგორც სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრებმა.—მართალია ილაპარაკეს მაგრამ ქალაქის საჭიროებაზედ ცოტა. სხვებისგან კი ნათქვამიც არა გაგონილა-რა, თორემ ახლის თქმის მოლოდინი არ გვქონია.

მორიგი საკითხი—სიეზდთან დამოკიდებულება იყო, რამაც კამათი გამოიწვია. აქ, მართალია, ქალაქის დემოკრატიული შემადგენლობა ხალხის აზრს მიითვისებდა, რადგანაც პარტიებში ყრილობის წევრთა გარდა აქა იქ სახმოსნე პირებიც მოიპოვებოდნენ. თათბირი კრების შეუწყვეტლად უნდოდათ. ერთმა ხმოსანმა აღნიშნა, რომ მან ძველ დროში უნახავს „ბალკონიდან“ მიელის დამსწრეს ქალაქის საკითხებში მონაწილეობა და ახლა ამ რა საჭიროა კრების შეწყვეტა, ასე ვითათბიროთო. კრება მაინც შესწყდა და 5 წუთის შემდეგ გაიმართა თათბირი, თუ როგორ წარიდგეს ქალაქი მე-16 ე მრეწველთა ყრილობასთან, მოითხოვოს მან განათების, კანალიზაციის—წყლის და ელექტრონის ბოძების დათმობა და აგრეთვე ერთ კაპიკამდის საფუთო გადასახადი შავ ქვაზედ, თუ ეს კონფლიქტს არ გამოიწვევს, და თუ მოხდა—ყრილობა ქალაქისაგან წარმოებით ე. ი. მეორე ბოძი ვერ დარჭობს, [illegible] იქნება ყველ [illegible]. სწორედ გასაკვირალია, რა არის აქ საკონფლიქტო! ჩამოთვლილი დარგების შემოსავალი სულ შეადგენს 8 ათას მანეთს, თვით ამ დარგებს არ ეყოფა ეს თანხა, მიუხედავად ამისა ყველა ესენი ქალაქს ეკუთვნის ისედაც და განა ყრილობა ამაზედ რამეს იტყვის? არა? მართალია, პარტიიდან ხმოსანმა ვაშაძემ გვარწმუნა, რომ ყრილობის საბჭოს გადაუწყვეტია არაფერი დაგვითმოსო, მაგრამ ეს განზრახ ცხენის თავს რომ კუდი გამოაბეს—ისეთი პირი უნდა იყოს.

ყრილობას ყველა ჩამოთვლილი დარგები ხალხისთვის აქვს გაკეთებული და რა წარმოსადგენია იგი ხალხს არ დაუთმოს!

გამონახეთ წყარო, დაიდგით საწარმოვო მატორი და სხვა დაგეხმარებათ კეთილ საქმეების მოგვარებაში. დადგმულ სწყობილ მანქანას რომ ხელი წაუფათურო, თუ იქ წილი არ გიდევს ან დაგეწვის ხელი, ან თითებს მოგწყვეტს. საავადმყოფო „მეორეო“—შეთანხმებით ყრილობასთან, კინკლაობას [illegible] თავი და ის ერთი საავადმყოფო, რომელიც ფართო გეგმით არის აშენებული გააუმჯობესეთ [illegible], ავადმყოფთა მოვლით, ექიმთა გამრავლებით—ეს უმჯობესი იქნება. მე მგონია ყველამ იცის, რომ ჩვენ მუშებისათვის და ჭიათურის მცხოვრებთათვის არის აგებული საავადმყოფოც და აბანო შკოლებიც, თორემ მრეწველი უფასოდ საავადმყოფოში არ მიიხედავს, აბანოდან [illegible] დაბანილი არ გამოსულა, სახლში აქვს მოწყობილი და [illegible] მრეწველები უფრო მეტი საზღვარ-გარეთელებია და მათი ერთი ბავშვიც არ არის ჩვენს სკოლებში. პირიქით, აქაურს [illegible] საკუთარი სკოლაც აქვთ და მღვდელიც ჰყავთ [illegible], თუ ვინმეს დასჭირდა [illegible].

საკვირველ შთაბეჭდილებას ახდენს ზოგიერთი ადამიანის მოქმედება ჩვენზედ: ან ჩვენ ვართ ქართველები უმანკო არსებანი, რომ უთუოდ ჩვენ [illegible], ანდა [illegible], რომ ჩვენ ჩვენს ხალხს, ისე კრეჭს მას, როგორც გაზაფხულ ს ცხვრის ფარას ირთმევს მატყლს,—ამას ანგარიში არც წინედ ჰქონდა გაწეული და არც ახლა არავინ ზრუნავს ამაზედ. ჭიათურაში თუ ვინმე საქონლის გაცვლა-გაპარება მოუნდომებია, ეს ლეკი, სხვა ტომი—აქ ეს ორი წელიწადი იქნება მოვიდა ერთი პატარა ბერძენი ვინმე „კასპანაკი“. იგი შუაღამეში დასახლდა და მიიღო [illegible] შავი ქვის სიმდიდრეს განაგებს როგორც ვექილი, ბინიატ-ოღლის, სიმონ დის, ევრიპ დის და სხვების. მოსულისათანავე ქართულის მასწავლებელი დაიჭირა, ცოტა [illegible] იცის ქართული ამდენივე, სხვა ენებიც იცის და ნუ იტყვით, ორმოცი, ორმოცდა ათი ათასის მანეთის ადგილზედ ავიდა,—ეს არაფერი, რომ ვერ დაკმაყოფილდა შავი ქვის წარმოებით, სახიერის კუთხიდან ერთი 49 [illegible] (ოჩოსი) [illegible]. ჩემი ძმა ქ. ჭიათურაზედ, [illegible] წაიყვანა, მაგრამ ჩვენდა იღბლად აქ დაიჭირა [illegible]. იგი სასურსათო კომისიას გადაეცა, მაგრამ იქ ც კიდევ ძმათ უნდათ ისარგებლონ, აღმასრულებელი ძალები ითხოვენ, მილიციონერებს უნდა დაეჯერებინათ, მაშინ როცა ახეთი საქმენი საჯაროდ გახმაურდა—მით უმეტეს, რომ აქ უკვე კარგა ხანია საშინელ [illegible] ვერ ვშოულობთ.

გ. ქავთარაძე

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს. გაზეთ „სახალხო საქმე“-ს მე 55 ნომერში მოთავსებულია ცნობა სოფ. ერედვის (გორის მაზრა.) უწესოებისა და უყურადღებობის შესახებ იქ მცხოვრებელ თავ. ფავლენიშვილების ცარცვა-გლეჯაზე. ეს ცნობები სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს. ამიტომ საჭიროდ ვსთვლი გავაცნო ყველა მას, ვისაც აინტერესებს ამ სოფლის მდგომარეობა; მართალია, სოფ. ერედვი დაშორებულია როგორც სამაზრო ქალაქს, ისე რკინის გზას და აქამომდისინ აქ არც სასწავლებელი არსებობდა და არც კოოპერატივი, მაგრამ წელს სოფელში კოოპერატივი დაარსდა და სასწავლებლის გახსნაზედაც თხოვნაა აღძრული მის წინაშე, ვისზედაც დამოკიდებულია ნებართვა.

რაც შეეხება თავ. ფავლენიშვილებს, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია ესენი აქ [illegible] კომლამდისინ ითვლებიან, მაგრამ ამათში სულ სამიოდე კაცი იმყოფება სახლში, დანარჩენები კი წასულნი არიან დაბებში და ქალაქებში საცხოვრებლად. როგორც [illegible] ვიცით, სოფელში მყოფნი ფავლენიშვილები არამც თუ ცარცვა-გლეჯას არ ეწევიან, არამედ სამაგალითო [illegible] და მაინც [illegible], თუ ბ-ნ ცნობის დამწერს „სახალხო საქმე“-ში სოფ. ერედვში [illegible] დროის შემთხვევა ვისთვისმე რაიმე, ამით არ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს [illegible] მთელს საგვარეულოს. ამიტომაც მე ვთხოვ ბ-ნ ცნობის დამწერს გამოაშკარავოს დასამტკიცებელი საბუთები იმ თავ. ფავლენიშვილებზე, რომელნიც ცარცვა-გლეჯას ეწევიან, რითი მათ კანონიერი სასჯელი მიიღონ და სხვა ფავლენიშვილებიც [illegible] ლაქისაგან თუ კი სადმე საქმე ჩაუდენიათ.

იმედია, თუ ერედვის გულშემატკივარია იგი, არ დააყოვნებს გაზეთ საშუალებით ბრალდების მოხსნას.

ირაკლი ფავლენიშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

შაბათი, ღვინობისთვის

21

ქართ. წმიდ. ღ. მამ. ჩვენისა ილარიონისა.

კათოლ. წმ. ურსულისა.

სომეხ. წმ. მოციქულ-მახარობელ მათე, მარკოს, ლუკა, იოანესი.

მაჰმად. შაბან 17 [illegible]. 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ 18 ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისისა)

ტფილისიდან გადის:

ბათუმისკენ	სწრ.	№ 5,	11.32 დღ.
„	საჩქ.	№ 9,	11.28 საღ.
პეტროვსკისკენ	საჩქ.	№ 19,	3.17 დღ.
„	„	№ 17,	8.19 დღ.
ბაქოსკენ	ჩქარ.	№ 3,	9.51 დღ.
„	სწრ.	№ 4,	8.46 საღ.
ყარსისკენ	საჩქ.	№ 4-8,	12.15 საღ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	საჩქ.	№ 10,	8.33 დღ.
„	სწრ.	№ 4,	7.41 საღ.
პეტ.-ვლადიკ.	საჩქ.	№ 20,	7.57 დღ.
„	საჩქ.	№ 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	სწრ.	№ 8,	10.26 დღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20 საღ.
ყარს-ჯულფ.	სწრ.	№ 8***,	7.53 დღ.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გამზევის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“